

მ ა რ ი ა მ ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე

ა ფ ხ ა ზ ე ბ ი

და

ა ფ ხ ა ზ ე თ ი

გამომცემლობა «განათლება» თბილისი-1990

ნარკვევი მიზნად არ ისახავს აფხაზეთისა და აფხაზების ისტორიის გადმოცემას. მისი ამოცანა უფრო ვიწრო და კონკრეტულია, სახელდობრ: ცნებების «აფხაზეთი» და «აფხაზები»-ს მნიშვნელობის წარმოჩენა სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვაენოვან წერილობით წყაროებში.

აფხაზეთის ასრ მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში, ისტორიულ და თანამედროვე დასავლეთ საქართველოში.

დასავლეთ საქართველოს და, კერძოდ, მისი შავი ზღვის სანაპიროს უძველესი ეთნიკური რუკის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მაგრამ ეს თვალსაზრისები იმდენად შორეულ ეპოქას ეხება (ძვ. წ. VI-V ათასწლეულები), რომ კონკრეტულ ეთნოსზე მსჯელობის შესაძლებლობა გამორიცხულია, ხოლო ძვ. წ. II ათასწლეულიდან, როდესაც ვითარება შედარებით უფრო ნათელი ხდებოდა, დასავლეთ ამიერკავკასიაში უმთავრესად ქართველური მოსახლეობა ივარაუდება.

ამ დროიდან მოყოლებული ვიდრე ანტიკურ ხანამდე ამ ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ამ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა, რომ აქ არსებობს საერთო კოლხური, ე.ი. ქართველური კულტურა. ამ დიდი კულტურის შიგნით, სპეციალისტთა დასკვნით, გამოიყოფა ცალკეული რეგიონალურ-ლოკალური ვარიანტები, მაგრამ მთლიანობაში ის კოლხური კულტურაა¹. ძვ.წ. II და I ათასწლეულებში ქართველური (საკუთრივ სვანური) ეთნიკური ელემენტი ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოს როგორც მთიან, ისე დაბლობ ზონაში. რისი ერთ-ერთი საბუთია ქ. ცხუმის (სოხუმის) სახელწოდების ქართველური (სვანური) რცხილადან წარმომავლობა².

ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა ძველი ბერძნული მითოლოგიის მონაცემები არგონავტოთა კოლხეთში მოგზაურობის შესახებ და ლინგვისტურ კვლევაზე დამყარებული მოსაზრება არგონავტოთა აქ მოსვლის დროისათვის (ძვ. წ. II ათასწლეული), ე.ი. ბერძენ-კოლხთა უძველესი კონტაქტების ხანაში, აქ ქართველური ენის არსებობის შესახებ³.

¹ О.М. Д ж а п а р и д з е . Западнотрухинская культура, об. Очерки истории Грузии, I, т.б., 1989. с. 119-140.

² Г.М. М е л и к и ш в и л и . К. вопросу об этнической принадлежности населения древней Грузии, мит. Очерки, с. 182-183.

³ Т.В. Г а м к р е л и д з ე , Вяч. Вс. И в а н о в . Индоевропейский язык и индоевропейцы, II, тб., с. 907-909.

აღნიშნულ დებულებას მთლიანად უჭერს მხარს ანტიკური წერილობითი წყაროების (ჰეკატე მილეტელი, ძვ. წ. VI ს., ჰეროდოტე ძვ. წ. V ს., სკილაქს კარიანდელი, ძვ. წ. IV ს., სტრაბონი, ძვ. და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნა და სხვა) მონაცემები, რომელთა საფუძველზე საკითხის სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ პერიოდში კოლხეთის სამეფო მოიცავდა მთლიანად დასავლეთ საქართველოს დაბლობს. ამასთანავე, კოლხებით ძირითადად დასახლებული ჩანს მიწა-წყალი დიოსკურიამდე (სოხუმი), რომლის შემდეგ იწყება ეთნიკურად შედარებით უფრო ჭრელი სამყარო, სადაც კოლხებთან ერთად იხსენიებიან კერკეტები, კორაქსები და სხვა ტომები, რომელთაც მკვლევართა ნაწილი ჩრდილოკავკასიური წარმოშობის ტომებად თვლის. დასავლეთ საქართველოს უძველესი ეთნიკური რუკის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტსაც, რომ II საუკუნის ავტორები ფლავიუს არიანე და კლავდიუს პტოლემეაიოსი ნიკოფსიასთან (თანემედროვე ტუაფსე) ასახელებენ გეოგრაფიულ პუნქტს ლაზიკას. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ არიანე ამ პუნქტს «ძველ ლაზიკას» უწოდებს, რაც აქ უძველესი დროიდან კოლხურ-ლაზური მოსახლეობის არსებობის უტყუარი მოწმობაა⁴.

ანტიკური წყაროების მონაცემების საფუძველზე სრულიად აშკარაა, რომ ძვ. წ. VI - I სს. თანამედროვე აფხაზეთის ასრ მიწა-წყალი მთლიანად მოქცეულია კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში. ამასთანავე, აფსარიდან დიოსკურიამდე (სოხუმი), როგორც უკვე ითქვა, ცხოვრობდნენ საკუთრივ კოლხები, რომლის შემდეგ იწყებოდა შედარებით ჭრელი ეთნიკური სამყარო, სადაც კოლხებთან ერთად და სხვა ტომებიც მოსახლეობდნენ (ქართველურთან ერთად შეიძლება არაქართველურნიც, ჩრდილოკავკასიურნი). კოლხების ჩრდილოეთით - მთებში მოსახლეობდნენ სვანები, რომელნიც დიოსკურიამდეც ვრცელდებოდნენ⁵.

ახ. წ. I - II საუკუნეებიდან დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე იხსენიებიან აფსილები და აბაზგები⁶. საკითხი იმის შესახებ, თუ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე I - II სს. მოხსენიებული აბაზგები და აფსილები რა დროიდან მოსახლეობენ აქ, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ზოგი მკვლევარის აზრით, ისინი უძველესი დროიდან მოსახლეობდნენ აქ, მაგრამ, რადგან კოლხურ ისტორიულ-ეთნიკურ-კულტურულ სამყაროში შედიოდნენ, უფრო ადრიანდელ წყაროებში მათ ვერ პოვეს ასახვა. მკვლევართა ნაწილის აზრით, აქ ისინი სწორედ ამ დროიდან ჩნდებიან, როდესაც ივარაუდება ჩრდილო კავკასიიდან ადიღური

⁴ ამ საკითხზე ვრცელი ლიტერატურა არსებობს, ამჯერად დავასახელებთ: პ ა ვ ლ ე ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა , გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 131 და შემდეგ: მ ე რ ი ი ნ ა ძ ე , ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხისათვის, სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების «მოამბე», 1960, №2, გვ. 145-162; Г.А. М е л и к и ш в и л и , Колхида в VI- IV вв. до и.э. Очерки, I, с. 223; დ. მუსხელიშვილი , საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 46. შდრ. III. Н а л - И п а , Апхазы, Сухуми, 1960; З.В. А н ч а б а д з е , Очерк энической истории абхазского народа, Сухуми, 1976.

⁵ Г. А. Меликишвили, Иаселение юго-восточние Причерноморья в VIII – Iвв. до и э. мист. Очерки истории Грузии, I, გვ. 283, შდრ. მ. ი ნ ა ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ. 151.

⁶ ფ ლ ა ვ ი უ ს ა რ ი ა ნ ე , მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელი კეჭაღმაძისა, თბ. 1961, გვ. 42-45; პლინუსი, ბუნების ისტორია, VI, 12, SC II, 178, 179; მ. ი მ ნ ა ძ ე , დასახ. ნაშრ., გვ. 156.

ტომების ჩამოსახლება⁷. აზრთა სხვადასხვაობაა ამ აფსილ-აბაზგთა ეთნიკური კუთვნილების შესახებაც. მკვლევართა ნაწილი მათ ქართველურ ტომებად, ხოლო ნაწილი ჩრდილოკავკასიური მოდგმის ადილურ ტომებად მიიჩნევს. ამასთანავე გამოთქმულია ვარაუდი, რომ აფხაზ-აფშილები, ისეთივე ქართველური მოდგმის ტომები არიან, როგორც მათ ირგვლივ მოსახელე ეგრები (ლაზები), სვანები და სხვანი, ხოლო თანამედროვე აფხაზები XVII საუკუნიდან ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებული აფსუები არიან.

ზოგიერთი მკვლევარი მიგრაციულ-ავტოქთონობის, ნაწილობრივ ადგილობრიობისა და ნაწილობრივ მოსულების თვალსაზრისზე დგას. გამოთქმულია ვარაუდი, რომ ძვ. XI საუკუნის ასურულ წარწერებში ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიის მთიელთა ზოგად სახელად მოხსენიებული «აბეშლა» შეიძლება (სახელის მსგავსების გამო) იყვნენ ანტიკურ წყაროებში შავი ზღვის სანაპიროზე მოხსენიებული აფსილების წინაპრები, რომელთაც შემდეგ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გადმოინაცვლეს.

ბერძნული წყაროების «აფსილიას» ქართული შუასაუკუნოვანი წყაროების (ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება) «აფშილეთი» შეესატყვისება. აფშილეთი ჯუანშერთან მოხსენიებულია VIII ს-ის 30-იან წლებში მურვან ყრუს დასავლეთ საქართველოში ლაშქრობასთან დაკავშირებით.⁸

აფშილეთი და მისი მთავარი მარინი მოხსენიებულია VIII საუკუნის დასაწყისის მოვლენებთან დაკავშირებით თეოფანე ჟამთაღმწერელთან⁹. ამის შემდეგ წყაროებში აფშილეთი აღარ იხსენიება, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ აფშილეთი, როგორც პოლიტიკური ერთეული, წყვეტს არსებობას, ის აფხაზეთის ნაწილად იქცევა და მასზე ვრცელდება სახელწოდება «აფხაზეთი» («აბაზგია»)¹⁰, ისევე როგორც სანიგები, რომელნიც VI საუკუნიდან ჩამოდიან ისტორიული სარბიელიდან და რომელთა მიწა-წყალი აგრეთვე შეიერთეს აბაზგებმა¹¹. ამ დროს იწყება ცნება «აფხაზეთის» მნიშვნელობის გაფართოება.

ერთიანი კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ საქართველოში რამდენიმე, პოლიტიკურად რომის იმპერიაზე დამოკიდებული, სამთავრო შეიქმნა, რომელთა შორის ფლავიურს არიანე აფსილებისა და აბაზგების სამთავროებსაც ასახელებს.

II ს-ის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველო ეგრისის (ლაზიკის) სამეფოშია გაერთიანებული. საკუთრივ აფშილეთი მდ. ეგრისწყლიდან (ღალიძგა) კოდორამდე უშუალოდ შედიოდა ეგრისის სამეფოს შემადგენლობაში, ხოლო

⁷ მ. ი ნ ა ძ ე , დასახ. ნაშ. გვ. 162, მერი ინაძე ყურადღება მიაქცია პლინუსის ნაშრომში არსებულ ცნობის ჩრდილო კავკასიაში «აბზოეს» მრავალრიცხოვანი ტომების, არსებობის შესახებ. მანვე აღნიშნა, რომ პლინუსის ცნობაში ზოგი გეოგრაფიული კორექტივის შეტანის შემთხვევაში შესაძლოა გამოითქვას ვარაუდი გარკვეული კავშირის არსებობის შესახებ, «ამ სახელწოდებისა და აფხაზური ტომების კრებით სახელს აბაზ-ს შორის, რომელიც XIX საუკუნემდე ყველა აფხაზთა საერთო სახელად იხმარებოდა», ი ქ ვ ე , გვ. 85.

⁸ ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 235.

⁹ თ ე ო ფ ა ნ ე ჟ ა მ თ ა ღ მ წ ე რ ე ლ ი , გეორგიკა, IV, I, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი, ქართული თარგმანი და კომენტარები ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს , თბ., 1941, გვ. 112.

¹⁰ მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე , ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963, გვ. 78.

¹¹ მ. ი ნ ა ძ ე , დასახ. ნაშრომი, გვ. 160.

კოდორს ჩრდილოეთი აფშილეთი აფხაზეთთან იყო გაერთიანებული, რომელიც ლაზთა სამეფოს დაქვემდებარებული ქვეყანა, მისი ვასალი იყო¹².

ბერძნული წერილობითი წყაროების ეს ლაზიკის (ქართული წყაროების ეგრისის) სამეფო კოლხეთის უშუალო მემკვიდრეა. V საუკუნის ბიზანტიელი ანონიმი, VI საუკუნის ისტორიკოსები: პროკოპი კესარიელი, იოანე ლიდე, აგათია სქოლასტიკოსი, როდესაც ლაზიკისა და ლაზების შესახებ მოგვითხრობენ, როგორც წესი, აღნიშნავენ, რომ ლაზები ძველი კოლხების მემკვიდრენი არიან, რომ მათ ძველად კოლხებს უწოდებდნენ, რომ კოლხები ლაზების წინაპრები არიან. ისინი ამ ორ ცნებას სინონიმური მნიშვნელობით ხმარობენ. მაგ. VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი წერს: «კოლხიდა, რომელსაც ახლა ლაზიკა ეწოდება»¹³.

VI ს. ეგრისის სამეფო თანდათან დასუსტდა (ბიზანტია-ირანის ომების შედეგად), საუკუნის დასასრულისათვის მას გამოეყო აბაზგია, რომელიც უშუალოდ ბიზანტიის იმპერიას დაუქვემდებარდა. აბაზგიის მთავრები (არქონტები) იმპერატორის ვასალები იყვნენ. ეგრისის შემდგომი დასუსტება არაბთა თავდასხმებმაც განაპირობა. თანდათან გაძლიერება დაიწყო აბაზგიამ, რომელმაც, როგორც უკვე ითქვა, საკუთრივ აბაზგიასთან ერთად, მოიცვა სანიგეთის, მისიმიანეთის, აფსილიის (აფშილეთის) მიწა-წყალიც. ზოგი მკვლევარი ეჭვის ქვეშ აყენებს სანიგთა და მისიმიანთა ქართველურ წარმომავლობას (ინალი-იფა, ანჩაბამე), მაგრამ, ვფიქრობთ, მეცნიერულად დასაბუთებულია იმ მეცნიერთა თვალსაზრისი, რომელნიც მათ ქართველურ მოდგმას მიაკუთვნებენ (ჯანაშია, ინგოროყვა, ყაუხჩიშვილი, ინაძე...). შეწყდა მათი პოლიტიკური არსებობა და გაფართოვდა ცნება აბაზგიას (აფხაზეთის) მნიშვნელობა. დაიწყო ცნება «აფხაზეთის» მნიშვნელობის გაფართოება. ალბათ, ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ჯუანშერი («ქართლის ცხოვრება»), როდესაც VIII ს-ის 30-იან წლებში არაბი სარდლის მურვან ყრუს დასავლეთ საქართველოში ლაშქრობაზე მოგვითხრობს, წერს, რომ მან დაანგრია ქალაქი «აფშილეთისა და აფხაზეთისა ცხუმი»¹⁴. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ტექსტის ასეთი წაკითხვა, რომ ცხუმი აფშილეთის და აფხაზეთის ქალაქია, «ქართლის ცხოვრების» ჩვენამდე მოღწეულმა უძველესმა ანასეულმა ნუსხამ შემოგვინახა, ხოლო შემდგომდროინდელ ნუსხებში აფშილეთი უკვე აღარ არის. ჩანს, ადრე იცოდნენ, რომ ცხუმი აფშილეთის ქალაქი იყო, მაგრამ მურვან ყრუს დროს ის უკვე პოლიტიკურად აფხაზეთი იყო, შემდეგ ეს ცოდნა დაიკარგა და კონტექსტიდან ამოვარდა «აფშილეთი».

VIII ს-ის 80-იანი წლებიდან, როდესაც განხორციელდა აფხაზეთისა და ეგრისის გაერთიანება და შეიქმნა სახელმწიფო, რომელიც მოიცავდა მთლიანად დასავლეთ საქართველოს, ცნება «აფხაზეთის» მნიშვნელობა კიდევ უფრო გაფართოვდა და ის ამიერიდან აღნიშნავდა მთელ დასავლეთ საქართველოს, ხოლო აფხაზად წერილობით წყაროებში იწოდებოდა, როგორც საკუთრივ აფხაზი (აბაზგი, აფსილი), ისე ყველა დასავლელქართველი.

VIII ს-ის 80-იან წლებში, დასავლეთ საქართველო რომ გაერთიანდა, ამ სახელმწიფოს მეთაური გახდა ლეონ აფხაზთა მთავარი. ეს სახელმწიფო

¹² Д.Л. Мусхелишвили. Историческая география Грузии IV- X вв. Очерки истории Грузии, II Т.б., 1988, с. 383-386.

¹³ პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, II, თბ., 1936, გვ. 47.

¹⁴ ქართლის ცხოვრება. I. გვ. 235.

გადაჭიმული იყო ნიკოფსიიდან ჭოროხის ხეობამდე¹⁵ და შავი ზღვიდან ლიხის ქედამდე¹⁶ და აღიარებდა ბიზანტიის სიუზერენიტეტს. იოანე საბანისძე ამ სახელმწიფოს მეთაურს «მთავარს» უწოდებს¹⁷.

ქართული წერილობითი წყაროების ცნობით (სხვა წყაროები კი არ არსებობს) ქართლის ერისმთავართა (სამეფო) სახლის უკანასკნელმა მამაკაცმა წარმომადგენელმა არჩილმა თავისი გარდაცვლილი ძმის მირის ასული ცოლად შერთო ლეონ აფხაზთა მთავარს, რომელსაც გადასცა ეგრისის გვირგვინი¹⁸, რითაც ლეონმა სიძობით, ე.ი. მემკვიდრეობით, მიიღო ეგრისი და ეგრისის სამეფო გვირგვინი, რაც სიმბოლურად და რეალურად ეგრის-აფხაზეთის გაერთიანებას ნიშნავდა. აღნიშნული გარემოება იძლევა საფუძველს თვალსაზრისისათვის, რომ ეგრისისა და აფხაზეთის გაერთიანება დინასტიური, ნებაყოფლობითი აქტი იყო¹⁹. შემდეგ ლეონ აფხაზთა მთავარმა (VIII ს-ის დასასრულს) გაინთავისუფლა თავი ბიზანტიის ვასალობისაგან და თავი მეფედ გამოაცხადა. «მატიანე ქართლისას» ცნობით «და იპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე²⁰».

აფხაზეთი ლეონის სამკვიდრო ქვეყანა იყო, ეგრისი ასევე სამკვიდრო, სიძობით მოპოვებული და ეს ორივე ქვეყანა ლეონმა ერთნაირად «იპყრა», დაუმორჩილა თავის ხელისუფლებას იმპერიისაგან დამოუკიდებლად და »სახელი-იდვა მეფე აფხაზთა»²¹. აფხაზთა მეფედ იმიტომ იწოდა, რომ დინასტია აფხაზთა სამთავროდ იყო გამოსული.

აფხაზთა მეფეების ეთნიკური კუთვნილება ცნობილი არ არის, ამაზე არ არსებობს არავითარი მითითება წერილობით წყაროებში. ზოგი მკვლევარი მათ საკუთრივ აფხაზებად თვლის, ზოგი ბერძნებად, რადგან ისინი ბიზანტიის იმპერიის ვასალები იყვნენ, ზოგი ქართველებად. სამივე თვალსაზრისი მოსაზრებათა სფეროში რჩება და სამივეს ერთნაირად აქვს არსებობის უფლება. მაგრამ ეს არ არის არსებითი, არსებითია ის, რომ აფხაზთა სამეფო ენით, დამწერლობით, კულტურით, სარწმუნოებით, პოლიტიკით ქართული სახელმწიფო იყო, ხოლო მისი მეფეები, ამავე ნიშნებით - ქართველები იყვნენ. ალბათ, ისიც სათქმელია, რომ X - XI სს. ზოგი სომეხი ისტორიკოსი, მაგ. იოანე დრასხანაკერტელი, ამ სახელმწიფოს «ეგრისს» უწოდებს, მათ მეფეს - «ეგრისის მეფეს», ხოლო მცხოვრებთ - «ეგრისელებს»²².

აფხაზთა სამეფო ქართული (დასავლურქართული) სახელმწიფო იყო. მისი მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველები: ქართველი, ეგრები, სვანები, ნაწილს - საკუთრივ აფხაზები. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით აფხაზთა სამეფო რვა ადმინისტრაციული ერთეულის, საერისთავოსაგან შედგებოდა²³. საკუთრივ აფხაზეთი დასახლებული იყო ძირითადად აფხაზეთის საერისთავო და ნაწილობრივ ცხუმის საერისთავო, ხოლო დანარჩენი ექვსი -

¹⁵ იო ა ნ ე ს ა ბ ა ნ ი ს ძ ე , აზო თბილელის მარტვილობა ძქლმ, I, თბ., 1964.

¹⁶ მ ა ტ ი ა ნ ე ქ ა რ თ ლ ი ს ა , ქართლის ცხოვრება, I, გვ. 251.

¹⁷ იო ა ნ ე ს ა ბ ა ნ ი ს ძ ე , გვ. 59.

¹⁸ ჯ უ ა ნ შ ე რ ი , ქართლის ცხოვრება, I, გვ. 243.

¹⁹ პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა , გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 189-218.

²⁰ ქ ა რ თ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა , I, გვ. 251.

²¹ ქართლის ცხოვრება. I, გვ. 251.

²² მაგ. იხ. ი ვ ა ნ ე ს დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ც ი , სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი, ქართული თარგმანი და კომენტარები ე. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი ს ა , თბ., 1965, გვ. 38, 109, 119, 257.

²³ ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 796.

ეგრისის (ცენტრი ბედია), გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის, არგვეთის (ცენტრი შორაპანი), ვაკე იმერეთის (ცენტრი ქუთაისი) - ქართველებით იყო დასახლებული.

სწორედ აფხაზთა სამეფოს არსებობის დროს, IX-X საუკუნეებში, აფხაზთა მეფეების აქტიური მონაწილეობით, აფხაზთა სამეფო საბოლოოდ გამოეყო ეკლესიურად კონსტანტინეპოლს და მცხეთის ტახტს დაუქვემდებარდა.

დასავლეთ საქართველოს ეკლესიის კონსტანტინეპოლის სამწყსოსაგან გამოყოფის საკითხის გარკვევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში შემავალი კათედრების ნუსხებს. სახელდობრ, ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის მნიშვნელობა აქვს ამ ნუსხათა ჯგუფს, რომელთაგანაც ერთი იმპერატორ ლეონ VI-ის (886-911) მეფობამდეა შედგენილი, ხოლო მერე - X ს-ში. პირველი რიგის ნუსხებში დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კათედრები კონსტანტინეპოლის სამწყსოში შედიან, ხოლო X საუკუნიდან დასავლეთ საქართველოს კათედრები ან ნუსხებში აღარ იხსენიებიან. აღნიშნული გარემოება იძლევა საფუძველს თვალსაზრისისათვის, რომ ამ დროს დასავლეთ საქართველო ეკლესიურად გამოყოფილია კონსტანტინეპოლის საპატრიარქოდან. ხოლო რიგი ქართული წყაროების მონაცემთა ანალიზი აშკარას ხდის, რომ დასავლეთქართული ეკლესია მცხეთის ტახტს დაექვემდებარა და გაერთიანდა ზოგადქართულ ეკლესიასთან. აღნიშნულ საკითხზე ვრცელი ლიტერატურა არსებობს, ეს პრობლემა საგანგებოდა აქვს შესწავლილი ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის, ს. ყაუხჩიშვილის, ზ. ანჩაბაძის²⁴.

ძნელი იყო ბიზანტიის პოლიტიკური გავლენისაგან განთავისუფლება, მაგრამ უფრო ძნელი იყო კონსტანტინეპოლის საეკლესიო ბატონობის აღმოფხვრა. ამ მიზნით აფხაზთა მეფეები აუქმებდნენ ბიზანტიის დასაყრდენ ბერძნულ საეპისკოპოსო კათედრებს. გაუქმდა ფოთის, გუდავის და სხვა ბერძნული კათედრები. მათ მაგიერ აფხაზთა მეფეებმა ახალი ქართული საეპისკოპოსოები დააარსეს. მაგ., აფხაზთა მეფე გიორგი II-ის დროს (922 - 957) დაარსდა ჭყონდიდის საეპისკოპოსო, ლეონ III-ის (957 - 963) დროს - მოქვის, გუდავის მოშლილი საეპისკოპოსოს მაგიერ ბაგრატ III (975 - 1014) ბედიის საეპისკოპოსო დააარსა²⁵. ეს საეპისკოპოსოები წარმოადგენდნენ ქართული კულტურის ცენტრებს. ამიერიდან ქართული ეკლესია ქართული ენით დაუპირისპირდა ბერძნულს²⁶.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიო გაერთიანების ცდებს ადრეც ჰქონდა ადგილი. ამ მხრივ გარკვეული წარმატებები იქნა მოპოვებული V ს-ში, VII ს-ში, მაგრამ მთლიანად და საბოლოოდ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ბიზანტიიდან გამოყოფა და მცხეთასთან შეერთება მეცხრე საუკუნეში განხორციელდა. პ. ინგოროყვა თვლის, რომ ეს «დიდი რეფორმა» დასავლეთ საქართველოს ნაციონალიზაციას და მასში, ბერძნულის ნაცვლად, ქართული ენისა და მწიგნობრობის დამკვიდრებას რომ ისახავდა მიზნად მეცხრე საუკუნის 30 - 40 წლებში გატარდა. ეხება რა აფხაზთა მეფეების მიერ ბერძნული კათედრების გაუქმებისა და ახალი ქართული საეპისკოპოსოების დაარსებას პ. ინგოროყვა ასკვნის: «ასეთი იყო ის ღონისძიებანი, რომელნიც ჩაუტარებია დასავლეთ

²⁴ საკითხი განხილვა წყაროებისა და ლიტერატურის მითითებით იხ. მ. ლორთქიფანიძე, ეგრის-აფხაზეთი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 422-428.

²⁵ მ ა ტ ი ა ნ ე ქ ა რ თ ლ ი ს ა , ქართლის ცხოვრება, I, გვ. 265, 270, 281.

²⁶ ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., გვ. 47 - 56;

საქართველოს - აფხაზეთის სამეფოს ხელისუფლებას დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რეფორმაციასთან, მის გაქართულებასთან დაკავშირებით»²⁷.

დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ეს «დიდი რეფორმა», რომელსაც პავლე ინგოროყვა «აფხაზეთის ეკლესიის გაქართულება, ნაციონალიზაცია» უწოდებს და დასავლეთ საქართველოს ეკლესიაში «ბერძნულის ნაცვლად - ქართული ენისა და მწიგნობრობის დამკვიდრებას» უკავშირებს²⁸ გარკვეულწილად დაკავშირებულია საქართველოში მიმდინარე იმ შიდამიგრაციულ პროცესებთან, რაც აღმოსავლეთ საქართველოდან საკუთრივ ქართლის ტომის დასავლეთ საქართველოში გავრცელებას სდევს თან.

ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისით, «პლინიუსის, პტოლემეოსისა და პროკოპი კესარიელის ცნობებით მტკიცდება, რომ კოლხეთის სამხრეთსა და აღმოსავლეთის ნაწილში მხოლოდ მეგრულ-ლაზების ტომები ცხოვრობდნენ»²⁹, მაგრამ შემდეგ იმ რთული ისტორიული პროცესების შედეგად, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოში და რამაც განაპირობა აღმოსავლეთ საქართველოდან მოსახლეობის მიგრაცია დასავლეთ საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის დასკვნით, «გურულები და იმერლები გაქართველ მეგრულ-ლაზებად უნდა ჩავთვალოთ». ამ პროცესს ივ. ჯავახიშვილი მეშვიდე-მერვე საუკუნეებით ათარილებს³⁰.

ამგვარად, «აფხაზეთის ეკლესიის გაქართულება» (პ. ინგოროყვა) ან მეგრულ-ლაზების გაგურულებ-გაიმერლება «გაქართვება» (ივ. ჯავახიშვილი) არ შეიძლება ჩაითვალოს დასავლეთ საქართველოს «გაქართულებად» იმ გაგებით, რომ თითქოს აქ დასავლეთ საქართველოს არაქართული მოსახლეობის გაქართველება იგულისხმებოდეს.

ქართიზაციის პროცესზე შემდგომში ყურადღება გაამახვილა ნიკო ბერძენიშვილმა, რომელმაც შექმნა კონცეფცია საკუთრივ ქართის ტომის ეთნიკურ-კულტურული ექსპანსიისა და ისტორიული საქართველოს დასავლური (და ზოგი აღმოსავლური) ქართული ტომების გაქართვების შესახებ (იხ. ნიკო ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII. ამ კონცეფციის დასავლურ-ქართული, საკუთრივ აფხაზური ნაწილის გამო იყო თავის დროზე ეს წიგნი რომ დაიჭრა). ეს მეცნიერული კონცეფცია შეიძლება არ გავიზიაროთ, მაგრამ დასავლეთ საქართველოს «ქართიზაცია» (ივ. ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი) ამ ავტორთა აზრით არ ნიშნავს დასავლეთ საქართველოს თითქოს არაქართული მოსახლეობის «გაქართველებას» და, ამდენად, ამ კონცეფციის ამ თვალსაზრისით კრიტიკა არ მიგვაჩნია გასაზიარებლად³¹.

აქვე უნდა შევნიშნოთ ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება, რომ იმერულ-გურულები გაქართველი მეგრულ-ლაზები არიან ძირითადად ლინგვისტურ მონაცემებს ემყარება. ხოლო პავლე ინგოროყვას თვალსაზრისი აფხაზეთის ეკლესიის «გაქართულების», ნ. ბერძენიშვილისა დასავლეთ საქართველოს «გაქართვების» შესახებ გიორგი მერჩულეს თხზულების რიგ ცნობებს და

²⁷ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე. გვ. 249.

²⁸ იქვე, 244, 246, 247.

²⁹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 227 – 228.

³⁰ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 428

³¹ ეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, ჟამთააღმწერლობა ჭემმარტის მეტყველება არს, იხ. გაზ. «სახალხო განათლება», 1990 წ. 17 მაისი, № 20 (4231), გვ. 12.

კონკრეტულად მერჩულეს ფორმულირებას «ქართლის» ცნების მნიშვნელობის შესახებ.

მერჩულე სწერს: «პირველად აღმოსავლისა კათალიკოსთა მიჰრონი იერუსაჲლ მით მოჰყვანდა. ხოლო ეგრემ ქრისტე სმიერთა ბრძანებითა მიჰრონისა კურთხევად ქართლს განაწესა იერუსაჲლ მისა პატრიარქისა განწესებითა და წამებითა სიხარულით. არამედ ქართლად ფრიადი ქვეყანად აღირიცხების, რომელსაც შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების, ხოლო კვრიელეჲ სონი ბერძნულად ითქუმის»³².

ბ-ნ ანანია ჯაფარიძე შენიშნავს, რომ «გ. მერჩულის» «გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში» არსებული ერთი ქარაგმის არასწორი გახსნის წყალობით მიღებულია ისეთი კარდინალური დასკვნები, როგორისაა, «პირველად მეცხრე-მეათე საუკუნეებში ეწოდა დასავლეთ საქართველოს «ქართლი». აღნიშნულ თხზულებაში - განაგრძობს ბ-ნი ანანია ჯაფარიძე - არსებული ქარაგმა «ა-სა» გადამწერს თუ პირველ რედაქტორს ნ. მარს გაუხსნია არასწორად, კერძოდ უნდა გახსნილიყო როგორც «აფხაზეთისა» და გახსნილიყო ასე - «აღმოსავლისა», აღმოსავლეთისა»³³. ავტორის აზრით ქარაგმის «სწორად» გახსნის შემთხვევაში მერჩულეს თხზულების ეს ადგილი სხვაგვარად იქნებოდა გაგებული³⁴.

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ: ჯერჯერობით გირგი მერჩულეს «გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების» მხოლოდ ერთადერთი ხელნაწერია ცნობილი, რომელიც იერუსალიმის საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში ინახება და საიდანაც გადმოიწერა და გამოსცა ნიკო მარმა «გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება». მართალია, ამ ხელნაწერზე ხელი არ მიგვიწვდება, მაგრამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში არის ამ უძველესი ხელნაწერის მიკროფირი (იხ. №- 2), რომელშიც ეს ადგილი ყოველგვარი ქარაგმების გარეშე არის წამოდგენილ და გარკვევით წერია: «პირველად აღმოსავლისა კათალიკოსთა», ასე რომ, ქარაგმის გახსნის საჭიროება არ არსებობდა.

მითითებულ სტატიაში არაერთი საგულისხმო მოსაზრებაა გამოთქმული, რომელთა გათვალისწინება, ალბათ, სასურველია, მაგრამ, რადგან ეს საკითხები ჩვენი ნარკვევის ფარგლებს სცილდება, ამჯერად მათზე მსჯელობა არ მიგვაჩნია შესაძლებლად. ამ ისედაც ვრცელი ექსკურსის ბოლოს მხოლოდ მიას ავღნიშნავთ, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთი მკვლავარის მიერ გაზიარებული კონცეფცია ჩვენში მიმდინარე «ქართიზაციის» ისტორიული პროცესის შესახებ თავისთავად შეიძლება საკამათო იყოს, მაგრამ ის ნამდვილად არ ნიშნავს დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოს რომელიმე რეგიონის «გაქართულებას», ის მხოლოდ საკუთრივ ქართის ეთნო-კულტურულ ექსეკანსიას გულისხმობს და გიორგი მერჩულეს თხზულება ამის ერთ-ერთი დასტურია.

აფხაზთა სამეფოში დაიწერა ქართული ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული თხზულებები, იქ, აფხაზთა მეფეების კარზე, ქართულად დაიწერა «მეფეთა დივანი» - აფხაზეთის მეფეთა სიტორია, აიგო ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები, აფხაზთა სამეფო აქტიურად მონაწილეობდა იმ დიდ ეროვნულ

³² გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ე , გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ. 290

³³ ა. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე , მით. სტატია, გვ. 12.

³⁴ ი ქ ვ ე .

ბრძოლაში, რომლის შედეგად შეიქმნა ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფო.

აფხაზთა სამეფო ქართული სახელმწიფო რომ არ ყოფილიყო, მისი დედაქალაქი იქნებოდა არა ძველი ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ცენტრი ქუთაისი, არამედ ანაკოფია (აფხაზეთის საერისთავო ცენტრი), ეკლესია ან არ გამოეყოფოდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს და თუ გამოეყოფოდა, ჩამოყალიბდებოდა საკუთრივ აფხაზეთის ეკლესიად, არ შეუერთდებოდა მცხეთის საკათალიკოსოს და არ დამკვიდრდებოდა წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე.

IX საუკუნის დასაწყისიდან, თუ უფრო ადრე არა, ქართულმა ენამ აფხაზთა სამეფოში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა, მან საბოლოოდ გამოდევნა დასავლეთ საქართველოს ეკლესიიდან ბერძნული ენა და ქართული ხდება აქ კულტურის, სამეფო კანცელარიის და ეკლესიის ენად³⁵.

IX საუკუნიდან აფხაზთა სამეფოში ქართული ეპინრაფიკა დასტურდება³⁶.

ამ დროიდან მოყოლებული აფხაზეთში ეკლესიებზე, ხიდებსა და სხვა სახის ნაგებობებზე, როგორც წესი, ქართული წარწერებია³⁷.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ შუასაუკუნოვანი ქართულ არქიტექტურაში არსებულ სკოლებს: დასავლურქართულს (აფხაზურს), კახურს, ქართლურს, ტაო-კლარჯულს, ჰერულს განმასხვავებელ, ლოკალურ თავისებურებებთან ერთად ზოგადქართული ხასიათი აქვთ, ყველა ესენი საერთო ქართული ნიშნებით ხასიათდებიან³⁸. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ეს თვისებები საქართველოს ერთიანი შუასაუკუნოვანი სახელმწიფოს შექმნამდე ვლინდება პოლიტიკურად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ აფხაზთა (დასავლურ ქართულ), ქართველთა (ტაო-კლარჯეთი), კახეთის და სხვა სახელმწიფოებში, რაც სწორედ უძველეს ისტორიულ ძირებზე, მათ საერთო ზოგადქართულ კულტურაზე მიუთითებს.

ამგვარად, როგორც უკვე აღინიშნა, აფხაზთა სამეფოს შემქნით ფართოვდება ცნება «აფხაზეთისი» და «აფხაზების» მნიშვნელობა და ის ახლა უკვე ნიშნავს დასავლეთ საქართველოს დასავლელ - ქართველს და საკუთრივ აფხაზსაც და საკუთრივ აფხაზეთსაც³⁹.

კიდევ უფრო ფართოვდება ცნებების «აფხაზის» და «აფხაზეთის» მნიშვნელობა მეათე საუკუნის დასასრულიდან.

ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში პირველ ადგილზე იდგა «მეფე აფხაზთა», რადგან ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატონთა სამეფო სახლის («ქართველთა მეფის») კანონიერი მემკვიდრე ბაგრატი (მეფე ბაგრატ III, 975 – 1014), რომელიც დედის ხაზით დასავლეთ საქართველოს სამეფოს ერთადერთი კანონიერი მემკვიდრეც იყო 978 წ. აკურთხეს «აფხაზთა მეფედ»,

³⁵ ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, აფხაზთა სამეფოს ისტორიიდან, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 306.

³⁶ Х.С. Б г а ж б а . Из истории письменности в Абхазии, თბ., 1967, გვ. 13.

³⁷ აფხაზეთში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ბერძნული წარწერების არსებობას თავისი ახნა აქვს, ანტიკურ ხანაში ამას სხვა საფუძველი ჰქონდა - ქრისტიანულ ხანაში საერთო მართლმადიდებლურ, ბერძნულ ქრისტიანულ მრწამსთან ერთიანობა.

³⁸ В а х т а н г Б е р и д з е, Место памятников Тао-Кларджети в истории грузинской архитектуры, Тб., 1981, с. 132.

³⁹ М.Д. Л о р д к и п а н и д з е . Абхазское царство, об. Очерки истории Грузии, т. II, тб., 1988, с. 285; შდრ З.В. А н ч а б а д з е, Из истории средневековой Абхазии (VI-XVIII вв.) Сухуми, 1959, с. 117-121.

ხოლო «ქართველთა მეფის» ტიტული მან მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისში მიიღო თავისი წინაპარი «ქართველთა მეფის» გარდაცვალების შემდეგ. ის იწოდა «მეფე აფხაზთა, მეფე ქართველთა». კახეთ-ჰერეთის შემოერთების შემდეგ ბაგრატიმა მიიღო «ჰერეთა და კახთა მეფის» ტიტულიც და ერთიანი ქართული შუასაუკუნოვანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურა ამ ეტაპზე ასე გამიართა: «მეფე აფხაზთა, ქართველთა, ჰერეთა, კახთა».

ამ დროიდან ქართულ წერილობით წყაროებში «აფხაზეთი» და «აფხაზი», როგორც წესი, ნიშნავს ზოგად «საქართველოს» და «ქართველს»⁴⁰.

ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში პირველ ადგილზე «მეფე აფხაზთა» რომ დგას, ამის შედეგად უცხოურ წყაროებში «აფხაზი» იხმარება ზოგადად ქართველის და «აფხაზეთი» საქართველოს მნიშვნელობით. ამასთანავე ამ უცხოელებმა, ბერძნებმა, არაბებმა, რუსებმა კარგად იციან, რომ «აფხაზეთი» იგივე «იბერია» - «საქართველოა» მაგ., მეთერთმეტე ს-ის ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი კეფრენე საქართველოს მეფე გიორგი I-ს (1014 – 1027) უწოდებს აფხაზეთის არქონტს⁴¹, ხოლო მის შვილს, მეფე ბაგრატ მეოთხეს (1027 – 1072), იბერიის არქონტს⁴². მეთერთმეტე საუკუნის დასასრულის და მეთორმეტე საუკუნის დასაწყისის ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე ზონარა იმავე ბაგრატ მეოთხეს აბასგის არქონტად იხსენიებს. კედრენ როდესაც მოგვითხრობს იმპერატორ ბასილ II-ის საქართველოში ლაშქრობის შესახებ წერს, რომ ბასილმა გაილაშქრა გიორგი აბაზგის წინააღმდეგ და იბერიისაკენ გაემართა⁴³.

როგორც ვხედავთ, იმდროინდელი ბიზანტიელი ისტორიკოსებისათვის აბაზგი - აბაზი და იბერია -იბერი იდენტური ცნებებია. ასევე აფხაზი ქართველია, ხოლო აფხაზეთი - საქართველო აღმოსავლელი (არაბი, სპარსი) ავტორებისათვის.

მეცამეტე საუკუნის არაბი გეოგრაფი და ისტორიკოსი იაკუთი წერს, რომ აფხაზეთი ქრისტიანი ხალხით დასახლებული ქვეყანაა, - რომელთაც ქურჯებს უწოდებენ. მეცამეტე საუკუნის დასასრულის სელჩუკი ქრონისტი იბნ ბიბი საქართველოს მეფე თამარზე წერს, რომ ის გურჯთა (ე.ი. ქართველთა. - მ.ლ.) მეფეა, რომელიც მართავს აფხაზთა სამეფოს, რომლის დედაქალაქი თბილისია. აფხაზეთს საქართველოსთან აიგივებს ნიზამ განჯევი, ხაყანი და სხვანი. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ რუსული შუასაუკუნოვანი წყაროებიც მიუთითებენ, რომ იბერია იგივე აფხაზია (ობეზი)⁴⁴.

მაგალითის მოტანა კიდევ მრავლად შეიძლებოდა. ამ საკითხის შესახებ ვრცელი ლიტერატურა არსებობს, დასკვნა მხოლოდ ერთია, შუასაუკუნეებქის ქართული და უცხოური წერილობითი წყაროების «აფხაზი» (სხვადასხვა ფორმით), როგორც წესი, ნიშნავს ქართველს⁴⁵.

საკუთრივ აფხაზეთი, რომელიც მეცხრე-მეათე საუკუნეებში დასავლურ ქართულ სახელმწიო - აფხაზთა სამეფოში ორი საერისთავოთი, აფხაზეთის და ცხუმის საერისთავოებით იყო წარმოდგენილი, ერთიანი საქართველოს არსებობის

⁴⁰ Афхазия и абхазцы средневековых грузинских повествовательных источников. Груз. тексты на русский язык перевел, предисловием и примечаниями снабдил Г.А. Амичба, т.б., 1988.

⁴¹ გეორგიკა 5, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1968, გვ. 46.

⁴² გეორგიკა 5, გვ. 46.

⁴³ გეორგიკა 6, გვ. 235.

⁴⁴ П о в е с т ь в р е м е н и х л е т , II, М., 1950, с. 213.

⁴⁵ Г.Г.П а й ч а д з е . Название Грузии в русских письменных источниках, Тб., 1989

პერიოდში წარმოდგენილია ერთი საერსითავოთი, რომელსაც ეწოდება ცხუმის საერსითავო და როლის ერსითავი შერვაშიძეა⁴⁶.

ცნება «აფხაზეთის» მნიშვნელობის მაქსიმალური გაფართოების შემდეგ დაიწყო უკუპროცესი.

როგორც ცნობილია მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოს ერთიანი ქართული სახელმწიფო დაიშალა ოთხ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სახელმწიფოებად: ქართლის, კახთის, იმერეთის სამეფოებად და სამცხის სამთავროდ. აფხაზეთი იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში მიყოფებოდა. ქვეყნის ფეოდალური დაშლის პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა და საკუთრივ იმერეთის სამეფოში შეიქმნა გურიისა და სამეგრელოს სამთავროები. აფხაზეთი სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო მეჩვიდმეტე საუკუნეში ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბდა შერვაშიძეებით სათავეში. სამთავრო სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი მდ. კოდორზე გადიოდა⁴⁷. ნაგვიანევი შუასაუკუნეების ხანის აფხაზეთის სამთავრო კლუტურულ-პოლიტიკურად ისეთივე «საქართველო» იყო, როგორც სხვა დანარჩენი «საქართველოები»⁴⁸. ხოლო კოდორის სამხრეთ-აღმოსავლეთი ქვეყანა ფეოდალური ურთიერთობის დასაწყისიდანვე (ხოლო ტრადიციით უძველესი დროიდანვე) ეგრისში შედიოდა. აფხაზეთში ეს ქვეყანა XVII ს-ში შევიდა⁴⁹. ამ სამთავროსშექმნის შემდეგ ქართველები, და არა მხოლოდ ქართველები, აფხაზეთს საკუთრივ ამ სამთავროს უწოდებენ.

XV – XVI საუკუნეებიდან საქართველოში რთული პროცესები მიმდინარეობს. დასტურდება ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარე ტომების ჩამოსახლება. ჩრდილო კავკასიიდან მომთაბარეთა ჩომოსახლების პროცესის შედეგად, რაც საქართველოში შექმნილი უმძიმესი ვითარებისპირობებში მიმდინარეობდა, ხდება კახეთში დაღესტნელი ტომების, შიდა ქართლში ოსთა და დასავლეთ საქართველოში ჩერქეზულ-ადიღური მოდგმის ხალხთა დასახლება.

XV ს-ის დასასრულისა და XVI საუკუნის დასაწყისიდან დაშლილ-დასუსტებულ საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სეფიანთა ძლიერი და აგრესიულად განწყობილი სახელმწიფო დაუმეზობლდა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთიდან - აგრეთვე აგრესიულად განწყობილი და ძლიერი თურქ-ოსმალთა სახელმწიფო. XVI - XVIII საუკუნეების მანძილზე ამ ორ სახელმწიფოს შორის თითქმის გამუდმებული საომარი ოპერაციები მიმდინარეობდა (თუ ომი არ იყო, ორივე მხარე ომისათვის ემზადებოდა). ეს საომარი ოპერაციები, რომელთა მიზანი მახლობელ აღმოსავლეთში გავლენის სფეროების განაწილება იყო, ერთ-ერთ მთავარ ამოცანად საქართველოს დამორჩილებას ისახავდა და მთელი ამ ხნის მანძილზე საქართველოს მიწა-წყალზე ომი მიმდინარეობდა. ქართული სახელმწიფოები შეძლებისდაგვარად უმკლავდებოდნენ კარზე მომდგარ სპარსეთსა და თურქეთს. მოსახლეობა წყდებოდა მტერთან ბრძოლებში, საქართველოში საგრძნობლად შემცირდა მცხოვრებთა რიცხვი. დაცარიელებულ ბარის რეგიონებში მთიდან ჩამოსული მოსახლეობა სახლდებოდა.

⁴⁶ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 33 – 34.

⁴⁷ И.Г. Антелава. Социально-экономические отношения в Абхазии в VXI – XVII вв., в книге: Очерки истории Абхазской АССР, I, Сухуми, 1960. с 100.

⁴⁸ ნ. ბერძენიშვილი, აფხაზეთის შესახებ, იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 288.

⁴⁹ იქვე

მოსახლეობაშემცირებულ და დაცარიელებულ მთის ფერდობებს კავკასიონის ჩრდილო კალთებიდან გადმოსულნი იკავებდნენ.

მთიდან მოსახლეობის ბარში ჩამოსვლა მთაგორიანი ქვეყნებისათვის ჩვეულებრივი და კანონზომიერი პროცესია. მთის მწირი ბუნება სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მზარდ ჭარბ მოსახლეობას და ნამატი ბარში ჩამოდის. მშვიდობიან ვითარებაში ეს პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს, სახელმწიფო ხელისუფლება მეტ-ნაკლებად აკონტროლებს მას, მაგრამ, როდესაც სახელმწიფო სუსტდება და ამ პროცესს ველარ არეგულირებს, იქმნება მძიმე ვითარება. ასე შეიქმნა კახეთში ჭარ-ბელაქნისა და თალას ე.წ. უბატონო თემები, შიდა ქართლის მთიანეთსა და შემდეგ მთისწინა ზოლში და ბარშიც - ოსთა კომპაქტური მოსახლეობა, კავკასიონის სამხრეთ-დასავლეთ კალთებზე - ჩრდილეთიდან ჩამოსული მოსახლეობა.

ჩვენ არ ვიცით რა ეწოდებოდა იმ ხალხს იქ, თავის თავდაპირველ სამშობლოში, აქ რომ დასახლდნენ, სავარაუდოა, რომ ქართველებმა აქ მოსახლე «აფხაზების» გამო მათაც «აფხაზები» უწოდეს.

ამ დროიდან იწყება აფხაზეთში ქრისტიანობის პოზიციების შერყევა, რასაც აპირობებს ერთი მხრივ, მთიდან ჩამოსული მოსახლეობის მიერ თავისი წარმართული რწმენების ჩამოტანა, მეორე მხრივ, თურქთა გაბატონება, რომელნიც აქ ისლამის გავრცელება-დამკვიდრებას ცდილობდნენ.

ქართული და უცხოური წერილობითი წყაროებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ ხდება XV საუკუნიდან მოყოლებული ქართული და ქრისტიანული პოზიციების შევიწროება დასავლეთ საქართველოში.

სამეგრელოს სამთავროდან აფხაზეთის სამთავროს გამოყოფის შემდეგ მიმდინარეობს გამუდმებული შინაფეოდალური ბრძოლა მფხაზთა მთავრები XVII საუკუნის ბოლოს იპყრობენ სამეგრელოს ნაწილს მდინარეებს - კოდორსა და ენგურს შორის და აფხაზეთის სამთავროს უერთებენ. ეს ის მიწა-წყალია, რომელიც სამურზაყანოს სახელწოდებათაა ცნობილი. ამ დროიდან იწყება ამ მხარის «გააფხაზება», «გააფხაზების» ეს პროცესი კარგადაა ასახული ქართულ, ძირითადად დოკუმენტურ, და უცხოურ წერილობით წყაროებში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ცნობა აქ აფხაზების საგანგებოდ ჩამოსახლების შესახებ⁵⁰. ი. ანთელავას მითითებულ წიგნში მოაქვს XIX ს-ის ბოლოს სოფ. ბეღიაში ნაპოვნი და გაზეთ «კვალში» (1987 წ. №20) გამოქვეყნებული დოკუმენტი. ამ დოკუმენტში, რომელიც XIX ს-ის ათიან წლებში უნდა იყოს შედგენილი, ვკითხულობთ, რომ XVII საუკუნეში ძმებმა რსოტომ, ჯიქეშია და ყვაპუ შერვაშიძეებმა აფხაზეთის სამთავროში გაიყვეს სამფლობელოები. როსტომს ერგო მდ. ბზიფიდან მდ. კორდორამდე, ჯიქეშიას - მდ. კოდორიდან მ. ღალიძგამდე. ხოლო უმცროს, ყვაპუს - მდ. ღალიძგადან მდ. ენგურამდე, რომელიც «благодаря смутному времени, было относительно безлюдно. Поэтому Квапу из Бзыбы, т.е. владения старшего брата, переселил несколько княжеских и дворянских фамилий, как-то: Анчабадзе, Эмухвари, Иналишвили, Маргания, Званбая, Лакербая и Акиртава»⁵¹.

მართალია, დოკუმენტი XIX ს-ის დასაწყისისაა, მაგრამ რადგან მასში მოთხრობილი ეთანხმება XV – XVIII სს-ის ქართული და უცხოური წერილობითი

⁵⁰ И.Г. Антелава. Очерки истории Абхазии XVII – XVIII вв., Сухуми, 1951, с. 42.

⁵¹ ციტ. ი. ანთელავას მით. შრომიდან, გვ. 42.

წყაროების ცნობებს, ნდობას იმსახურებს. ამ მხრის გააფხაზების პროცესი საკითხის სპეციალურ ლიტერატურაშიც არის განხილული. შედარებით სრულად ეს პროცესი წარმოჩენილია ზემოთ ნახსენებ ირაკლი ანთელავასა და ზურაბ ანჩაბაძის მონოგრაფიებში.

XV საუკუნის შემდეგ აფხაზები თავდასხმებს იწყებენ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ოლქებზე, უპირატესად სამეგრელოზე. ვახუშტი ბაგრატიონს აღწერილი აქვს XVII - XVIII ს-ის I მეოთხედში აფხაზების თითქმის ყველა თავდასხმა გურია-სამეგრელოზე⁵². ასეთ თავდასხმებზე უცხოური წერილობითი წყაროებიც მოგვითხრობენ, მაგ., შარდენი. ლამბერტი⁵³. XV საუკუნის დოკუმენტებით ამკარაა, რომ სოხუმი (ცხუმი) სხვაა, აფხაზეთი - სხვა⁵⁴. XVII საუკუნის შუა წლებში, არქანჯელო ლამბერტის ცნობებით, დრანდა, მოქვი, ილორი, ბედია ეგრისშია⁵⁵.

ყურადღებას იმსახურებს ის გარემოებაც, რომ XVII საუკუნეში უცხოელები ბიჭვინთას აფხაზეთში არ ათავსებენ.

იტალიელი მისიონერი ძამპი, რომელის თხზულება შარდენმა თავის «მოგზაურობის» წიგნში შეიტანა, მოგვითხრობს რა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის შესახებ, წერს: ამ კათალიკოსის ძალაუფლება ვრცელდება ოდიშში, იმერლების, გურულების, აფხაზთა და სვანთა ქვეყნებში. მისი სამიტროპოლიტიო საყდარი არის ბიჭვინთაში, აფხაზთა ახლოს⁵⁶, ეს ცნობა იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ის მოსახლეობა, რომელიც თავისი ყოფით, რწმენით განსხვავდება სამეგრელოს და დანარჩენი დასავლეთი საქართველოს მოსახლეობისაგან, ბიჭვინთაში ჯერ არ არის დამკვიდრებული და ამიტომ უცხოელ დამკვირვებელს ის «აფხაზეთად» არ მიაჩნია.

XV საუკუნის ძეგლი «მცნება სასჯულო» გვაუწყებს, რომ «აფხაზეთი ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს»⁵⁷. ეს ქრისტეს მცნებისაგან განშორებული აფხაზები არიან, რომ ესხმიან თავს სამეგრელოს. XVII ს-ის პირველი ნახევრის დოკუმენტში («მამულების მფლობელობის განახლების სიგელი ლევან დადიანისა ხობის საყდრისადმი») აღნიშნულია, რომ «მას ჟამსა უღმერთოდ და უსჯულოებად მიიქციეს აფხაზნი», რომ «აფხაზთა გარყუნეს სჯული და კათალიკოზობა»⁵⁸. იმავე დოკუმენტური მასალიდან კარგად ჩანს, თუ როგორ ვიწროვდება დასავლეთ საქართველოს ქრისტიანული ეკლესიის იურისდიქციის ფარგლები, როგორ იკარგება ეს ქვეყანა ქრისტიანობისა და ქართველობისათვის. თუ არქანჯელო

⁵² ვ ა ხ უ შ ტ ი ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი , მით. ნაშრომი გვ. 842, 863.

⁵³ იხ. ანთელავა, მით. ნაშრომი, გვ. 30-34.

⁵⁴ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, II თბ., 1897, გვ. 261.

⁵⁵ ა რ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი , სამეგრელოს აღწერა, ლ. ასათიანის რედაქც., თბ., 1938, გვ. 120, 158.

⁵⁶ ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ ზ ი ა მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ მ ა , თბ., 1975, გვ. 137. იტალიელი მისიონერი ძამპი დაახლოებით 26 წელი იმყოფებოდა სამეგრელოში XVII ს-ის 40-60 იან წლებში (იხ. მ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი , შარდენის მოგზაურობის მითითებული თარგმანი, გვ. 15-16), რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მის ცნობებს.

⁵⁷ ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამო., III, თბ., 1970 გვ. 222.

⁵⁸ ქსმ, II, თბ., 1965 გვ.209.

ლამბერტის და სხვა უცხოელი ავტორებისათვის XVII საუკუნის შუა წლებში დრანდა, მოქვი, ილორი, ბედია ეგრისშია, ბიჭვინთა აფხაზეთი არაა, XVI ს-ის დასასრულსა და XVII საუკუნის დასაწყისში ქართული დოკუმენტური მასალით ენგურს გაღმა სოფელი ნიჟანელი ჯერ კიდევ მეგრული სოფელია. ეგრისში ნიჟანეული 1626 წლის აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდი დავთრის მიხედვით⁵⁹; ოდიშში ნიჟანეული 1939 წლის დოკუმენტებითაც⁶⁰. მაგრამ მდგომარეობა საგრძნობლად შეცვლილი უკვე XVIII ს-ის დასაწყისში. 1712 წლის დოკუმენტში კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე წერს: «ნაჟანევს სოფელი აფხაზს აეყარა. სამოცი მოსახლე კაცი ნეფსამე კათალიკოსს ყვაპუ შარვაშიძისათვის მიეზარებინა. უფროსი ერთი დაკარგულიყო», ვინც მოახერხა კათალიკოზმა წამოიყვანა და ხობსა დახიზულაში დაასახლა. ჩამოთვლილია გვარები და ყველა მეგრული (ქართულია)⁶¹. ასე თანდათან კარგავენ ქართველები პოზიციებს ისტორიულ სამეგრელოში და მათ მომხდური აფხაზები იკავებენ. ეს დოკუმენტი ერთ საინტერესო გარემოებაზეც მიანიშნებს, მომხდურ აფხაზთაგან დარბეულ ქართველ გლეხებს კათალიკოსი შერვაშიძეს მიაზარებს, ის მომხდურ აფხაზებს სხვები არიან და შერვაშიძე სხვაა, ისიც ცდილობს ამ მომხდურთაგან თავის დაცვას. თავდაცვა თანდათან ძნელდება. სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი (1611 – 1657) საგანგებო კედელს აგებს აფხაზთაგან თავდასაცავად. ამ კედლის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს: «შევლო ზღუდე დიდმა ლევან დადიანმა, აფხაზთა გამოუსვლელობისათვის»⁶². არქანჯელო ლამბერტის რუკაზე ამ კედელს აფხაზთაგან დასაცავი კედელი აწერია⁶³.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ XVII საუკუნემდე აფხაზებით დასახლებულ ქვეყანას სოციალურად და სარწმუნოებრივ-კულტურულად არავინ ანსხვავებდა საერთოდ საქართველოს და საკუთრივ დასავლეთ საქართველოს დანარჩენი მოსახლეობისაგან. უცხოელები, რომელნიც ანგარიშგასაწევ დაკვირვებებს გვაწოდებენ, სწორედ ამ თვალსაზრისით ცხუმს XIII – XIV სს-ის ქართულ ქალაქად თვლიან. არაბი მწერალი აბულფიდა ცხუმს საქართველოს ქალაქს უწოდებს, ხოლო ცხუმის კათოლიკე ეპისკოპოსი პეტრე გვერალდი 1330 წელს დაწერილ წერილში ცხუმის მცხოვრებლებად თვლის ქართველებს და აგრეთვე მუსლიმანებსა და ებრაელებს⁶⁴. რაც იმას ნიშნავს, რომ იმდროინდელ ცხუმში ან საერთოდ არ იყვნენ საკუთრივ აფხაზები, ან თუ იყვნენ, რადგან ისინი ენით, სარწმუნოებით, ცხოვრების წეთის არ განსხვავდებოდნენ ქართველებისაგან, უცხოელისათვის ისინი ქართველები იყვნენ და არა აფხაზები. ასევე უნდა აიხსნას ცნობა ბიჭვინთის შესახებაც. ანგარისგასაწევია ის გარემოება, რომ პიტერო გვერალდი «ქვემო იბერიის» კათოლიკე ეპისკოპოსად იწოდება. XIV ს. ცხუმში მონეტას ჭრის სამეგრელოს მთავარი ვამეყ დადიანი, რომელიც მთავრად 1384 - 1396 წლებში იყო. XV საუკუნის იტალიურ რუკებზე მდ. კელასურის შესართავთან

⁵⁹ ქსმ, III, გვ. 397, 436.

⁶⁰ იქვე, გვ. 481, 501.

⁶¹ ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 670-671.

⁶² ვ ა ხ უ შ ტ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 82.

⁶³ ზ. ა ნ ჩ ა ბ ა ძ ე , დასახ. ნაშრომი, გვ. 266. ამჯერად ჩვენ არ გვანტერესებს ეს ძეგლი კედელია და ეხლა მას ხელახლა ამაგრებენ, თუ ეხლა აგებენ. მნიშვნელობა აქვს თვით იმ ფაქტს, რომ როგორც უცხოელს, ისე ქართველს ის აფხაზთაგან თავდაცვის საშუალებად მიაჩნია.

⁶⁴ ე ლ დ ა რ მ ა მ ი ს თ ვ ა ლ ა შ ვ ი ლ ი , საქართველოსშავი ზღისპირეთის ისტორიიდან, გაზ. სახალხო განათლება, 1989 წ. 18. X, გვ. II.

დატანილია «მეგრული პორტი», მაგრამ XVII საუკუნისთვის მდგომარეობა შეცვლილია. იტალიელი ჯოვანი ჯულიანო და ლუკა, რომელმაც 1630 წ. იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში, წერს: «აფხაზები გაფანტულნი არიან ზღვის სანაპიროზე. მათი ცხოვრების წესი ისეთივეა, როგორც ჩერქეზებისა... აფხაზების ენა ძალიან განსხვავდება მათი მეზობელი ხალხების ენისაგან. მათ არ აქვთ არავითარი დაწერილი კოანონები და დამწერლობის გამოყენებაც არ იციან. რწმენით ქრისტიანები არიან, რაიმე ქრისტიანული წეს-ჩვეულების გარეშე. ტყეები მათ ემსახურებათ როგორც მყუდრო ადგილი, როდესაც ისინი აირჩევენ ერთ ადგილს საცხოვრებლად, მერე მას არ ტოვებენ. იცვამენ ჩერქეზების მსგავსად, მაგრამ თმებს იკრეჭენ სხვანაირად, ვიდრე ჩერქეზები... რადგანაც მათ არ აქვთ სხვა საცხოვრებელი ადგილი, გარდა ტყისა, ამიტომ ჰყავთ მცირე რაოდენობის ჯოგი და აქვთ მცირე მასალა თავიანთი ტანისამოსისი დასამზადებლად. ისინი კმაყოფილდებიან თავლისაგან გაკეთებული ღვინოთი და ტყეში გაზრდილი ნაყოფით. ხორბალი მათთან არ მოდის. მარილს აქ არ ხმარობენ»⁶⁵.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ ჯოვანი და ლუკა, როდესაც აფხაზებზე იწყებს საუბარს, განაკვეთის სათაურში მათ უწოდებს «აბაზას» («Abbazza»)⁶⁶, ხოლო ტექსტში ხმარობს ტერმინებს «აბკასა» და «აბაცა»⁶⁷. ეს «აბაცა» ხომ არ არის «აფსუა»?

არქანჯელო ლამბერტის თანახმად, რომელიც XVII საუკუნეში ოც წელიწადს ცხოვრობდა დასავლეთ საქართველოში, აფხაზები არ ცხოვრობდნენ ქალაქებსა და ციხეებში. ერთი გვარის რამდენიმე ოჯახი შეიყრებოდა ერთად, დასახლდებოდნენ მაღლობ ადგილზე, სადაც ააშენებდნენ სილით დახურულ ფაცხებს, თავდაცვის მიზნით ირგვლი ღობეს და ორმაგ თხრილს შემოავლებდნენ. საინტერესოა, რომ მათ სხვა კი არ ერჩის, ისინი თვით ესხმიან ერთმანეთს თავს და მარცვავენ⁶⁸.

XVII ს-ის 50-იან წლებში საქართველოში იმყოფებოდა ცნობილი თურქი ისტორიკოსი და გეოგრაფი ევლია ჩელები, რომლის აღწერილობიდან კარგად ჩანს იმდროინდელი აფხაზების ყოფა და კულტურა. ამ დროისათვის აფხაზეთში უკვე საკმაოდ ფეხმოკიდებულია ისლამი, მაგრამ მისი სიტყვით აფხაზები «ყურანს არ იცნობენ და არც რამე სარწმუნოება აქვთ»⁶⁹.

როგორც მოტანილი ცნობებიდან ჩანს მართებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება იმდროინდელ აფხაზეთში, წინანდელთან შედარებით, მეზობელ ქართველთაგან განსხვავებული ყოფის დამკვიდრების, მათში ქრისტიანობის მოშლის შესახებ, რაც გამოწვეული უნდა იყოს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის ან ნაწილობრივ (ნ. ბერძენიშვილი), ან მთლიანად ახალი ეთნიკური ჯგუფით, აფსუებით შეცვლით (პ. ინგოროყვა), ჩრდილ კავკასიიდან მოსახლეობის ჩამოსვლით.

უცხოელი ავტორები, რომელნიც ამ ცნობებს გვაწვდიან, არ იყვნენ შემთხვევითი პირები. ისინი ინფორმაციას აგროვებდნენ, რიგ შემთხვევებში ოფიციალურად აწვდიდნენ ცნობებს მთი საქმიანობის სფეროში მყოფი ხალხების შესახებ. მათ მიზანს შეადგენდა შეესწავლათ ამ ხალხების ზნე-ჩვეულება, მეურნეობა, კულტურა. რასაკვირველია, არ არის გამორიცხული, რიგ შემთხვევაში

⁶⁵ ი. ტ ა ბ ა ლ უ ა , საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, III, თბ., 1987, გვ. 169- 171.

⁶⁶ ი ქ ვ ე , გვ. 154.

